



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2021 წლის 14 ივნისი

დისციპლინური საქმე №44/21-3
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2021 წლის 13 აპრილის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 14 აპრილის №133/44-03 წერილით მოსამართლე --- ეცნობა საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინების უკანონობაზე, ასევე საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობდა კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადის დარღვევით.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 6 მარტს, --- წარმომადგენელმა, სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით (--- ლარი).

--- სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით --- სარჩელი დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ---.

--- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით --- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც --- სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ (--- 28.02.18 წელი; --- 01.03.18 წელი).

სასამართლოს მიერ, --- და --- საკასაციო საჩივრები 2018 წლის 9 მარტს მიღებულ იქნა წარმოებაში დასაშვებობის შესამოწმებლად.

2018 წლის 16 მარტს --- წარმოადგინა საკასაციო შესაგებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 30 მარტის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 17 მარტის განჩინებით -- -- და -- -- საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევადგინოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ამდენად, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მოსამართლეს, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორი არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ პირობებს, იგი მიიჩნევა დაუშვებლად.

მოსამართლე -- --, 2021 წლის 17 მარტის განჩინების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. კონკრეტული საკითხის შეფასება მის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, თავისი

შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

1. -- -- 2021 წლის 13 აპრილის №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება, განჩინების კანონიერების ნაწილში.
2. -- -- 2021 წლის 13 აპრილის №-- საჩივარზე მოსამართლე -- -- მიმართ გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული სხვა გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი